პირველი მატჩი - ფრე

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 2 მაისი.

“დინამო” (თბილისი) - “ნეფტიანიკი” (ბაქო) 0:0.

“ნეფტიანიკი”: კოსენკოვი, ახუნდოვი, მორგუნოვი, ჭანჭალეიშვილი, ტროფიმოვი, ალესკეროვი, ტუაევი, გრიაზევი, გოლოდეცი, მარქაროვი (ეინულაევი), ფილატოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ზეინკლიშვილი, მელაშვილი (ვეკუა), ხელაძე, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დაიწყო 1962 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მარათონი. ამ გრძელ და მძიმე გზაზე ჯერ არავის უვლია დანაკარგის გარეშე. განსაკუთრებით ხშირად აქვს ხოლმე ადგილი სიურპრიზებს გათამაშების სტარტზე, როცა ყველა სამუშაო კოლექტივში არაა დამთავრებული და ძიებანი გრძელდება. წელს ასეთი სიურპრიზების რიცხვს მიეკუთვნება მოსკოვის სპარტაკელთა და ტორპედოელთა მარცხი, აგრეთვე თბილისის დინამოელთა ფრე ბაქოს “ნეფტიანიკთან”.

ამ მოულოდნელობებს ზოგიერთები კანონზომიერ მოვლენად თვლიან, ვინაიდან ძლიერ გუნდებში არ თამაშობდნენ მთელი რიგი წამყვანი მოთამაშეები, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებში არიან დაკავებული. რა თქმა უნდა, ძნელია, როცა გუნდს გამოაკლდებიან “ვარსკვლავები”, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, მათი მოწინააღმდეგეებიც ხომ “ვარსკვლავების” გარეშე თამაშობდნენ და ამის გამო გამარჯვება უნდა დარჩენოდა მას, ვინც უკეთ მოემზადა ამ ბრძოლისათვის.

თბილისელთა მთავარ ამოცანას მოსამზადებელ პერიოდში წარმოადგენდა მოემზადებინათ სწორფასოვანი შეცვლა ნაკრებში წასული მოთამაშეებისათვის ან ყოველ შემთხვევაში ეს დანაკლისი საიმედო რეზერვით შეევსოთ.

მატჩის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა უკმაყოფილოდ დატოვეს სტადიონი. ისინი მოელოდნენ გამარჯვებას, მაგრამ ჩვენმა გუნდმა გამარჯვების ნაცვლად პირველივე მატჩში დაკარგა ქულა, რომელიც მტკიცედ იჯდა მის სავარაუდო აქტივში. თბილისელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის მანძილზე და არაერთხელ შეეძლოთ კარის აღება, რაც მათ უეჭველად მოუტანდა გამარჯვებას. მაგრამ “ნეფტიანიკის” კართან არ იქნა გამოყენებული რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა. მაგალითად, იამანიძეს სულ ცოტა ორჯერ მაინც შეეძლო გაეტანა გოლი, მაგრამ მან ეს ვერ გააკეთა. იგივე შეიძლება ითქვას კალოევის, ზეინკლიშვილისა და ხელაძის მისამართითაც. ბაქოელთა გაძლიერებულ დაცვას “დინამოს” ფორვარდებმა ვერაფრით ვერ მოუძებნეს “გასაღები” თუნდაც ერთი ბურთის გასატანად.

პირველ მატჩში დაკარგულმა ქულამ არ უნდა გამიწვიოს ნაადრევი მკაცრი დასკვნები ჩვენი გუნდის მიმართ. იგი ახალ ტაქტიკურ ვარიანტებს ეძებს, მეტი ყურადღება ექცევა კარის უხიფათობას, გრძელ გადაცემებს მინდვრის შუაგულში, სწრაფ გარღვევებს და სხვ. თქმა არ უნდა, რომ გუნდი უმოკლეს ხანში დაეუფლება ამ სიახლეებს, აითვისებს მათ და იბრძოლებს მთელი თავისი შესაძლებლობებით. საამისო ძალები დინამოელებს საკმარისად გააჩნიათ.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს ბაქოელებმა ანგარიშით 1:0.

გ. სირაძე.
“ლელო”, 5 მაისი 1962 წ.